დამოუკიდებელი ინსპექტორის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2023 წლის 1 თებერვალი**

დისციპლინური საქმე №9/23
მოსამართლეების -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებაზე უარის თქმის თაობაზე

-- -- წარმომადგენლის -- -- 2023 წლის 20 იანვრის №9 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[5] მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75[6] მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლეების -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული ფაქტები:

საჩივრის ავტორი სადავოდ ხდის მოსამართლეების მიერ მიღებული განჩინებების კანონიერებას.

2. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2.1. 2015 წლის 25 აგვისტოს -- -- სარჩელით მიმართა -- -- სასამართლოს მოპასუხის - -- -- მიმართ სამკვიდრო ქონების მიღების ფაქტის დადგენილად ცნობის მოთხოვნით (საქმე №--).

-- -- სასამართლოს 2016 წლის 21 ივნისის გადაწყვეტილებით -- -- სარჩელი დაკმაყოფილდა, დადგენილ იქნა იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტი, -- -- მიერ მამის -- -- დანაშთი სამკვიდრო ქონების ფაქტობრივი ფლობით მიღების თაობაზე.

2016 წლის 26 ივლისს -- -- სააპელაციო საჩივარი წარადგინა სასამართლოში. -- სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 20 ოქტომბრის განჩინებით -- - სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

2.2. -- -- სასამართლოს 2015 წლის 20 ივლისის განჩინებით, -- -- წარმომადგენლის, -- -- განცხადება -- -- სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ 2013 წლის 4 ივნისის სამოქალაქო საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ ბათილად ცნობის მოთხოვნით დარჩა განუხილველი (საქმე №--).

2015 წლის 7 სექტემბერს -- -- წარმომადგენელმა კერძო საჩივარი წარადგინა სასამართლოში. -- სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 3 მაისის განჩინებით -- -- კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა. გაუქმდა -- -- სასამართლოს 2015 წლის 20 ივლისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

2.3. 2012 წლის 22 დეკემბერს -- -- სარჩელით მიმართა -- -- სასამართლოს მოპასუხეების - -- -- და -- -- მიმართ სამკვიდრო ქონების მიღების ფაქტის დადგენილად ცნობისა და სამკვიდრო ქონების 1/3 ნაწილიდან 1/2 ნაწილზე მესაკუთრედ ცნობის მოთხოვნით (საქმე №--).

-- - სასამართლოს 2017 წლის 13 დეკემბრის განჩინებით მხარეთა მორიგების გამო საქმის წარმოება შეწყდა.

3. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^2 მუხლის თანახმად, „მოსამართლეს დისციპლინური პასუხისმგებლობა არ დაეკისრება, თუ მის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის დღიდან ამ გადაცდომაზე დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებამდე გასულია 3 წელი, ხოლო მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების დღიდან – 1 წელი.

ხანდაზმულობის ვადას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დისციპლინური სამართალწარმოებისთვის, ვინაიდან, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებისათვის აუცილებელია, რომ საჩივარი დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურში წარმოდგენილი იყოს ქმედების ჩადენიდან 3 წლის განმავლობაში. ხანდაზმულობის ვადები დისციპლინურ სამართალწარმოებაში გამოიყენება მხოლოდ საჩივრის წარდგენასთან მიმართებით. საჩივრის წარდგენის შემდეგ თავად სამართალწარმოების განმახორციელებელი ორგანო ხანდაზმულობის ვადით არ არის შეზღუდული, რადგან ხანდაზმულობის ვადის დენა საჩივრის წარდგენით წყდება.

ხანდაზმულობის ვადის მიზანია თავიდან აიცილოს ისეთი შემთხვევა, როდესაც საჩივრის დაგვიანებით წარდგენა შეუძლებელს ხდის ან აფერხებს კონკრეტული საქმის მოკვლევას და საქმის გარემოებების სრულყოფილ შესწავლას. ამასთან, ხანდაზმულობის კონკრეტული ვადის არსებობა უზრუნველყოფს სამართლებრივ განსაზღვრულობასა და განჭვრეტადობას.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებაზე უარის თქმის შესახებ ან მოსამართლის მიმართ დაწყებული დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ, ამოიწურა მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის ან მისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის (დისციპლინური სახდელის) დაკისრების ვადა. ორგანული კანონის ზემოაღნიშნული დებულება დამოუკიდებელ ინსპექტორს ანიჭებს უფლებამოსილებას თავად მიიღოს გადაწყვეტილება დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებაზე უარის თქმის შესახებ თუ საჩივრის წარმოდგენამდე გასულია 3 წელი.

მოცემულ შემთხვევაში, საქმეზე №--მოსამართლე -- -- განჩინება მიიღო 2016 წლის 20 ოქტომბერს, საქმეზე №-- მოსამართლეებმა -- -- და -- -- განჩინება მიიღეს 2016 წლის 3 მაისს, ხოლო, საქმეზე №-- მოსამართლე - - -- განჩინება მიიღო 2017 წლის 13 დეკემბერს, ხოლო დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურში საჩივარი წარმოდგენილია 2023 წლის 20 იანვარს, ამდენად, გასულია მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ვადა - 3 წელი, რაც დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებაზე უარის თქმის საფუძველს წარმოადგენს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^2 მუხლით, 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

-- -- წარმომადგენელს -- -- 2023 წლის 20 იანვრის №9 საჩივრის საფუძველზე მოსამართლეების -- -- მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებაზე ეთქვას უარი.

ზურაბ აზნაურაშვილი
დამოუკიდებელი ინსპექტორი